ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ებ ა №35ბ/012

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი

"16" "მაისი" 2011წ.

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-ს გენერალურ დირექტორ ნატო ავალიანსა (შემდგომში „შემსყიდველი") და, მეორეს მხრივ, შ.პ.ს „კრისტალი"-ს დირექტორ ავთანდილ გასვიანს (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ს.ს.ი.პ. "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" "საფრთხის შემცირების ერთობლივი პროექტით, ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის" ფარგლებში ლაბორატორიული სახარჯი მასალების შეძენა.

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1 "ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამა – საფრთხის ერთობლივი შემცირების პროგრამის ფარგლებში კონტრაქტის №1308096 განხორციელება.

2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი (მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "ს").

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 296.26 (ორასოთხმოცდათექვსმეტი და 26) ლარს, დღგ-ს გარეშე (ნულოვანი განაკვეთი).

4. ხელშეკრულების ობიექტი

4.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ლაბორატორიული სახარჯი მასალები მიწოდება ხელშეკრულებას თანდართული დანართის შესაბამისად (შემდგომში "საქონელი").

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1 "საქონელი" უნდა აკმაყოფილებდეს მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს.

5.2 უხარისხობის შემთხვევაში "მიმწოდებელი" საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს "საქონლის" სრულ და დროულ შეცვლას "შემსყიდველის" ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

6.1 მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. №9, სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

6.2 მიწოდების ვადაა – 16/05-16/06/2011წ.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული შესრულების შემდგომ ან და გარკვეული ეტაპის დამთავრების შემდგომ მხარეებს შორის ფორდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია: ქ. თბილისი მ. ასათიანის ქ. №9, ლ. საყვარელიძის სახ. დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიღების დროს გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

7.4 ხელშეკრულების პირობების არასათანადო შესრულებისას "შემსყიდველს" უფლება აქვს არ გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი და მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" მისი სრული და დროული შესრულება, ან მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია სრული ანაზღაურებით "საქონლის" მიწოდების სრული დამთავრების უზრუნველსაყოფად.

8. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

8.1 ანგარიშსწორების ფორმაა – უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.3 ანგარიშსწორება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ ათი დღის განმავლობაში, კანონით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით.

9. მხარეთა ვალდებულებები და უფლება-მოვალეობები

9.1 "შემსყიდველი" ვალდებულია:

9.1.2 "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" მიწოდებული "საქონლის" ღირებულება უნაღდო ანგარიშსწორებით "მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის მიხედვით.

9.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.2.1 "შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად განახორციელოს "საქონლის" მიწოდება, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა ყველა მონაცემებით "შემსყიდველის" მოთხოვნას.

9.2.2 აცნობოს "შემსყიდველს" ყველა იმ ცვლილებათა შესახებ, რაც პირდაპირ ან ირიბად ეხება ხელშეკრულებას.

9.2.3 დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულებანი.

9.2.4 დროულად და ხარისხიანად აწარმოოს "საქონლის" მიწოდება.

9.3 "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

9.3.1მოითხოვოს "მიმწოდებლისაგან" ხელშეკრულების ყველა პუნქტის უცილობელი შესრულება;

9.3.2 უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა;

9.3.3 არ სცნოს "მიმწოდებლის" არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

9.3.4 "შემსყიდველს" უფლება აქვს შეამოწმოს მიწოდებული "საქონლის" ხარისხი და მიწოდების ვადები და, თუ "მიმწოდებელი" არასათანადოდ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება მიწოდებული "საქონლის" ანაზღაურების გარეშე.

9.4 "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

9.4.1 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მის მიერ მიწოდებული "საქონლის" ღირებულების სრული ანაზღაურება.

9.4.2 განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ "შემსყიდველის" მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება "საქონლის" მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

9.4.3 აწარმოოს მოლაპარაკება "შემსყიდველთან" სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

9.4.4 მიმართოს სასამართლოს ან სხვა ორგანოებს "შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

9.4.5 მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" რეალური ზარალის ანაზღაურება, რაც გამოიწვია მისი მხრიდან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევამ.

9.4.6 "მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს "შემსყიდველისაგან" მიწოდებული "საქონლის" ღირებულების დროული ანაზღაურება, წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე და შეუსრულებლობის შემთხვევაში გააუქმოს დადებული ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების სხვა პირობები

10.1 "მიმწოდებელს" არ აქვს უფლება "შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

10.2 "შემსყიდველი" არ მიიჩნევს დასაშვებად ფასების გადასინჯვის შესაძლებლობას, თუ იგი გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების ზრდას, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

10.3 ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

10.4 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

10.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.6 ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობით შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 "შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, "მიმწოდებლისათვის" ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ "მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან "შემსყიდველის" მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია "საქონლის" მიწოდება;

11.1.2 თუ "მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს რის გამოც ვერ განხორციელდება "საქონლის" მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 "შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

11.3.1 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია "შემსყიდველის" ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;

11.3.2 თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.3 "მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში.

11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" უკვე ფაქტიურად მიწოდებული "საქონლის" ღირებულება.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით.

12.2 მხარეებს არ ენიჭება უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობა.

12.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ხელშეკრულებაში ცვლილებათა შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, "შემსყიდველი" არ არის ვალდებული წარუდგინოს "მიმწოდებელს" რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც წარმოშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.4 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13. დაუძლეველი ძალის მოქმედება

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული "შემსყიდველისა" და/ან "მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენები, რომელსაც ცნობენ მხარეები.

13.3 დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.4 დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.

14.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შესძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს

15. გამოსაყენებელი სამართალი

15.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. ხელშეკრულების ენა

16.1 ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

17. ურთიერთობა მხარეებს შორის

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის

18.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

18.2 ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოაზდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

19. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

19.1 "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი განხორციელდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ "საქონლის" მიწოდების მომენტში და აისახება აქტში.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

20.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 01/07/2011წ.

20.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

20.4 ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

21. განსაკუთრებული შენიშვნები

21.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ითვალისწინებს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და არ შეიძლება ცდებოდეს მას.

ხელშეკრულება დგება ორ თანაბარძალოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა "მიმწოდებელს".

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა
კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მ. ასათიანის ქ. №9
ტელ: 39-89-46
ს/კ 211324351
საბანკო რეკვიზიტები:
სს "თი ბი სი" ბანკი
ა/ა 345017
ბ/კ TBCBGE22
გენერალური დირექტორი

_____ ნ. ავალიანი

ბ. ა.

"მიმწოდებელი"
შ.პ.ს „კრისტალი"
მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ 32/3
ტელ: 98 89 69
ს/კ 201 950 371
საბანკო რეკვიზიტები:
ა/ა GE20BG0000000089192350 1
ბ/კ BAGAGE22

დირექტორი

_____ ა. გასვიანი

ბ. ა.

დანართი

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი
1	ბამბა,სამედიცინო (50 გრ)	ცალი	60	0,55	33
2	ლეიკოპლასტირი 2*5	ცალი	37	1,45	53,65
3	ლეიკოპლასტირი 2*5	ცალი	3	1,47	4,41
4	სპირტი 95%	ლიტრი	10	18	180
5	ბინტი 7X14	ცალი	10	1	10
6	მარლა 5მ	ცალი	4	3,8	15,2
					296,26

"შემსყიდველი"

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გენერალური დირექტორი:

ნ. ავალიანი

"მიმწოდებელი"

შ.პ.ს. "კრისტალი"-ს დირექტორი

ა. ბეხვიანი

20195037I

თამარ მეფის გამზ. 32/3
0112 თბილისი, საქართველო
ტელ/ფაქსი: 995(32) 988969, 351786
ელ-ფოსტა: office@crystalltd.ge
ს.ს. საქართველოს ბანკი
ა/ა: GE20BG0000000891923501
კოდი: BAGAGE22 ს/კ: 201950371

CRYSTAL

32/3 Tamar Mepe Ave.
0112 Tbilisi, Georgia
Tel/fax: 995(32) 988969, 351786
E-mail: office@crystalltd.ge
JS/C Bank of Georgia
Acc: GE20BG0000000891923501
SWIFT: BAGAGE22 IC: 201950371

19 მაისი 2011წ.

შეტყობინება

გატყობინებთ, რომ შეიცვალა შ.პ.ს. „კრისტალი"-ს საბანკო რეკვიზიტები. გთხოვთ, დავალიანების დაფარვა აწარმოოთ შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE20BG0000000891923501

პატივისცემით,

შპს „კრისტალი"-ს
დირექტორი: /ა. გასვიანი

20195037 1